ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი № 15

ქ. თბილისი **24.04.2017**

სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

გრიგოლ მურღულია - ფილოლოგიის დოქტორი, შპს „ამერიკულ-ქართული განათლების ცენტრის“ დამფუძნებელი და დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

თამარ ფხალაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის წამყვანი სპეციალისტი, ისტორიკოსი, საბჭოს მდივანი.

გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი;

ქეთევან აბულაძე - სსიპ - ქალაქ თბილისის №126 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე;

არჩილ სუმბაძე - შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისის“ აკადემიური დირექტორი;

თამარ კაპანაძე - სსიპ - თბილისი კლასიკური გიმნაზიის დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლალი შაიშმელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

რამაზ გიუნაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

- სხალთის მთავარეპისკოპოსი მეუფე სპირიდონი (აბულაძე), შპს ხულოს წმინდა აბუსერიძე ტბელის სახელობის სკოლა;
- სამონაზვნე ბარბარე მეგრელიძე, შპს ხულოს წმინდა აბუსერიძე ტბელის სახელობის სკოლა.
- მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსი მელქისედეკი (ხაჩიძე), შპს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ხარაგაულის წმ. ანდრიაპირველწოდებულის სახელობის გიმნაზია;
- იღუმენი ანტონი-ედუარდ სულთანიშვილი, შპს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ხარაგაულის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია;
- ნათელა კამკამიძე, შპს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ხარაგაულის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია;
- თამარ ლაცაბიძე, შპს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ხარაგაულის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია;
- სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოსი მეუფე იეგუდიელი (ტაბატაძე), ა(ა)იპ სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონი;
- ნინო თურქიაშვილი, ა(ა)იპ სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონი;
- დიანა კალმახელიძე, ა(ა)იპ სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონი;
- თამარ მანძულაშვილი, შპს სკოლა-ლიცეუმი ლამპარი;
- მაია წვენიაშვილი, შპს სკოლა-ლიცეუმი ლამპარი;
- ქეთევან სეხნიაშვილი, შპს სკოლა-ლიცეუმი ლამპარი.
- გულნარა დევდარიანი, შპს - გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა- მათემატიკური სკოლა;
- რუსუდან პატიშური, შპს - გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა- მათემატიკური სკოლა;
- არჩილ კვინიკაძე, შპს - გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა- მათემატიკური სკოლა.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):

მაკა ტუკვაძე;

თამარ კუპრაშვილი;

ქეთევან ბოტკოველი;

ნანა მონიავა;

მანანა ალიბეგაშვილი;

ლელა ფიცხელაური;

ნელი ნასყიდაშვილი;

ლეილა გველესიანი;

ნინო ბალანჩივაძე;

ნინო ფეტვიაშვილი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანამანთლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გრიგოლ მურღულია.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 15:15 საათზე, შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილი იყო, რადგან მას ესწრებოდა საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. შპს ხულოს წმინდა აბუსერიძე ტბელის სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ- სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს სკოლა-ლიცეუმი ლამპარის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა- მათემატიკური სკოლის მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. შუამდგომლობა არ ყოფილა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

1. შპს ხულოს წმინდა აბუსერიძე ტბელის სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა მაკა ტუკვაძემ და თამარ კუპრაშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები თითოეულ სტანდარტთან მიმართებით.

1.1 **საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით** ექსპერტმა მაკა ტუკვაძემ აღნიშნა რომ:

ა) შპს ხულოს წმინდა აბუსერიძე ტბელის სახელობის სკოლა 2005 წელს დაარსდა საქართველოს საპატრიარქომ მიერ, დაწესებულებაში I და II საფეხურზე იყო ხუთ დღიანი სასწავლო კვირა, III საფეხურზე კი - ექვს დღიანი.
ბ) სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლა მოსწავლეებს არჩევით საგნებად სთავაზობდა მსოფლიო კულტურას და თანამედროვე ფიზიკის შესავალს. საათობრივი ბადის 25%-ის ფარგლებში გაძლიერებული იყო ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შემდეგი საგნების სწავლება: ისტორია, ინგლისური, ქართულის ენა და ლიტერატურა, ფიზიკა და ბიოლოგია.
ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი საგნების სახით კი სკოლაში ისწავლებოდა: ქართველოლოგია – V-XII კლასებში კვირაში 2 საათი და მე–11 კლასში 1 სთ; ქართული ენა – V-XII კლასებში კვირაში 1 სთ, ხოლო მე-12 კლასში 2 სთ; ზოგადი უნარები – მე–10 კლასში –2 კვირეული საათი, მე–11 კლასში – 1 კვირეული საათი, მე–12 კლასში – 3 კვირეული საათი. აღნიშნული საგნები იყო სავალდებულო და ფასდებოდა ქულით.

.

გ) დაწყებით საფეხურზე ფაკულტატური საგნის სახით შეთავაზებული იყო საღვთო სჯული. სკოლაში იყო მოძღვრის საათი, რომლის ფარგლებშიც საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები კვირაში ერთხელ, გაკვეთილების შემდეგ ხვდებოდნენ მოძღვარს სასუბროდ. მოძღვრის საათზე დასწრება თავისუფალი იყო.

დ) სკოლაში ფუნქციონირებდა ხელოვნების, ცეკვის და ისტორიის წრეები. დამატებით საალმზრდელო მომსახურეობის სახით ფუნქციონირებდა გახანგრძლივებული სწავლება I-IVკლასებისთვის. ამასთან, ყველა სახის მომსახურეობა იყო უფასო.

ე) სკოლას ჰყავდა სსსმ მოსწავლე, რომელსაც აღენიშნებოდა მკვეთრად გამოვლენილი მხედველობის პრობლემა. დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა ინკლუზიური განათლების პროგრამა, რაც გულისხმობდა სპეციალური ოთახის მომზადებას საჭირო რესურსებით, და მულტიდისციპლინური ჯგუფის შექმნასა და საგნების მიხედვით ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენას.

ვ)კათედრებზე შემუშავებული იყო V-XII კლასის მოსწავლეთა აკადემიური ცოდნის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, თითოეულ საგანში, განსაზღვრული იყო შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა სემესტრების მიხედვით, აგრეთვე გაცდენილი დავალების აღდგენის წესი.

სხდომის თავმჯდომარე გრიგოლ მურღულია დაინტერესდა ,,მსოფლიო კურტურის" შინაარსით. სკოლის წარმომადგენელის განმარტებით, იგი აღებული იყო არჩევითი საგნებიდან და ძირითადად ხელმძღვანელობდნენ რეკომენდირებული ლიტერატურით.

1.2 შპს ხულოს წმიდა აბუსერისძე ტბელის სახელობის სკოლა მდებარეობდა დაბა ხულოში, დავით აღმაშენებლის ქუჩა № N 9-ში. სკოლას საქართველოს საპატრიარქოს მიერ თხოვების ხელშეკრულების საფუძველზე უვადოდ ჰქონდა გადაცემული ქონება.
მატერიალურ რესურსთან მიმართებით ექსპერტ მაკა ტუკვაძის განმარტებით, დაწესებულება აკმაყოფილებდა მატერალური სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ: სკოლის სარგებლობაში იყო ორი შენობა. ერთ სამსართულიან შენობაში პირველ სართულზე განთავსებული იყო: მუსიკის ოთახი, სპორტული დარბაზი და სველი წერტილები (გოგონებისათვის, ბიჭებისათვის და სსსმ პირისთვის), მეორე სართულზე განთავსებული იყო 4 საკლასო ოთახი, ბიბლიოთკა, ისტ-ის კაბინეტი, რესურს ოთახი, სამასწავლებლო და დირექტორის კაბინეტი. მესამე სართულზე - 8 საკლასო ოთახი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და კათედრის სამუშაო ოთახი.

მეორე ორსართულიანი შენობის პირველ სართულზე განთავსებული იყო სატრაპეზო და ექიმის ოთახი. მეორე სართულზე კი - 4 საკლასო ოთახი დაწყებითი კლასებისთვის(I-IV) და სველი წერტილები.

დაწესებულების ორივე შენობაში იყო სულ 16 საკლასო ოთახი- ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილი იყო მოსწავლის მერხებითა და სკამები, სასკოლო დაფებით, სხვადავა თვალსაჩინოებებითა, შეფასების სქემებით, მოსწავლის ქცევის წესებითა და გაკვეთილების ცხრილით. სკოლაში იყო 302 მერხი და26 კომპიუტერი.

სკოლას ჰქონდა დიდი სპორტული დარბაზი (139.2კვ.მ) გასახდელებითა და შესაბამისი სპორტული ინვენტარით.

1.3. **ადამიანურ რესურსთან მიმართებით** ექსპერტმა თამარ კუპრაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. სკოლის დირექცია წარმოდგენილი იყო 2 ადამიანით: სკოლის დირექტორი და დირექტორის მოადგილე. სკოლას ასევე ჰყავდა ადმინისტრატორი და დამხმარე პერსონალი , სულ 6 თანამშრომელი.
სკოლის საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებდა 34 პედაგოგი. აქედან, 16 მასწავლებელს ჰქონდა მაგისტრის აკადემიური ხარისხი, 13 მასწავლებელს - ბაკალავრის ხარისხი. პროფესიული

განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართული იყო 26 მასწავლებელი, აქედან 4 იყო უფროსი მასწავლებელი, 22 - პრაქტიკოსი, სკოლას ჰყავდა 2 ფასილიტატორი. 6 პედაგოგი ემზადებოდა გამოცდებისთვის და წარმატების შემთხვევაში ჩაერთვებოდა პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემაში.

ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა მასწავლებლების პროფესიული განვითარებისთვისსკოლის მიერ განხორციელებულ აქტივობებსა და მასწავლებლების მიერ შესრულებული სამუშაოს წარმოდგენის ფორმებზე.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით, მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 300 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა შპს ხულოს წმინდა აბუსერიძე ტბელის სახელობის სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ იგი აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სამივე სტანდარტს. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ხულოს წმინდა აბუსერიძე ტბელის სახელობის სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ხულოს წმინდა აბუსერიძე ტბელის სახელობის სკოლას (ს/კ:248053500) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300-ით.

2. შპს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სკოლის წარმომადგენელმა, განხილვის დაწყებამდე, აღნიშნა რომ სკოლას ჰქონდა 147 წლის ისტორია, მან საბჭოს წევრებს გააცნო სკოლის ამჟამინდელი მიღწევები და მოსწავლეთა შედეგები.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა ქეთევან ბოტკოველმა და ნანა მონიავამ. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ შპს "საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ხარაგაულის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიას (ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის)" (ს/კ N243572834), 2017 წლის 15 მარტს შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა "შპს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია".

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ სკოლის გარემო იყო მეტად შთამბეჭდავი, ხოლო სივრცე იყო მოწესრიგებული და ადაპტირებული.

2.1 საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა რომ:

ა) სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, გიმნაზიაში ისწავლებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა სავალდებულო საგანი. სკოლის საათობრივი ბადე თანხვედრაში იყო ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ცვლილებები არ ყოფილა შეტანილი. I-VI კლასებში ისწავლებოდა სპორტის სამი სახეობა: სპორტული თამაშები, ჭადრაკი, ფრენბურთი. VII-XII კლასებში - კალათბურთი, ფრენბურთი, ფეხბურთი.

ბ) ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებით საგანმანათლებლო მომსახურების სტატუსით სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა გალობის წრეს V-VIII კლასებში და ფრანგული ენის წრეს VIII-X კლასებში. წრეების სამუშაო გეგმაში დაწვრილებით იყო გაწერილი შესასწავლი საკითხები და მისაღწევი შედეგები.

გ) მასწავლებლებთან ინტერვიუერებისა და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლები საგაკვეთილო პროცესში იყენებდნენ სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს. ისინი ითვალისწინებდნენ მოსწავლეთა თავისებურებებს გაკვეთილის დაგეგმვის და წარმართვის პროცესში.

დ) სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახული იყო სკოლის შეფასების სისტემა, რომელიც შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას სკოლის შეფასების სისტემა მოიცავდა აკადემიური მიღწევის დონეებს. საკლასო ოთახებში გაკრული იყო შეფასების რუბრიკები.

საბჭოს წევრმა ქეთევან აბულაძემ აღნიშნა, რომ ხარაგაულში ეს იყო მხოლოდ ერთი კერძო სკოლა და სკოლაში სწავლის მსურველი ბევრი იქნებოდა. იგი დაინტერსდა, თუ როგორ ხდებოდა მოსწავლეთა შერჩევა.

დაწესებულების წარმომადგენელის განმარტებით ყველა სკოლა ცდილობს თავისკენ წაიყვანოს ბავშვი, თუმცა ამჟამად მათ ჰყავთ 200 მოსწავლე და შერჩევა არ ჭირდებოდათ.

2.2 მატერიალურ რესურსთან მიმართებით ექსპერტ ქეთევან ბოტკოველის განმარტებით დაწესებულება აკმაყოფილებდა მატერალური სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ:

ა) გიმნაზია მდებარეობდა დაბა ხარაგაულში, რ.დეკანოსიძის ქ.N4-ში, გიმნაზიაში იყო 12 საკლასო ოთახი, ბიბლიოთეკა, დირექტორის კაბინეტი, კომპიუტერების ოთახი, სამასწავლებლო, რესურს-ოთახი, 7 სველი წერტილი, სამედიცინო ოთახი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის 3 კაბინეტი.

ბ) საკლასო ოთახები აღჭურვილი იყო 217 მერხითა და სკამით. სათავსოში დასაწყობებული იყო 44 მაგიდა და 35 სკამი. გიმნაზიას საერთო ჯამში მფლობელობაში ჰქონდა 261 მაგიდა და სკამი, 14 კომპიუტერი, 1 ლეპტოპი, 15 სასკოლო დაფა, 1 მაგნიტური დაფა, 1 პროექტორი და თეთრი ეკრანი, 2 პრინტერი.

გ) სკოლის ეზო დაყოფილი იყო 3 სპორტულ მოედნად. პირველი მოედანი განკუთვნილი იყო ფეხბურთისთვის, მეორე მოდანზე დამონტაჟებული იყო კალათბურთის 2 ფარი, მესამე მოედანი კი განკუთვნილი იყო ფრენბურთისათვის. სკოლას ჰქონდა შესაბამისი სპორტული ინვენტარი: ფეხბურთის 10 ბურთი, ფრენბურთის 3 ბურთი, კალათბურთის 2 ბურთი, ფრენბურთის ბადე, სავარჯიშო რგოლები, ჭადრაკის 10 დაფა დ.ა.შ.

2.3. **ადამიანურ რესურსთან მიმართებით** ექსპერტმა ნანა მონიავამ აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი:

სკოლას ჰყავდა 35 თანამშრომელი - აქედან 26 პედაგოგი, ადმინისტრაციის 4 თანამშრომელი (რექტორი, აღმასრულებელი დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი) და 10 ტექნიკური პერსონალი. მასწავლებლები ჩართულნი იყვნენ მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. 26 მასწავლებლიდან 8 იყო უფროსი, ხოლო 18 პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მქონე.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით, მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 260 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა შპს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ იგი აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სამივე სტანდარტს. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ხარაგაულის წმინდა ანდრია

პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 260-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიას (ს/კ:243572834) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 260-ით.

3. ა(ა)იპ- სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა მანანა ალიბეგაშვილმა და ლელა ფიცხელაურმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები თითოეულ სტანდარტთან მიმართებით.

3.1 **საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით** ექსპერტმა მანანა ალიბეგაშვილმა აღნიშნა რომ:

ა) წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა ორიენტირებული იყო სკოლის მისიის მიღწევაზე და შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას. სკოლაში ისწავლებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო საგანი. ასევე, X კლასში არჩევით საგნად ისწავლებოდა გეოგრაფიული კვლევა, XIკლასში - შესავალი თანამედროვე ფიზიკაში, ხოლო XII კლასში - "სახელმწიფო და სამართალი".

ბ) მისიის საფუძველზე სკოლა-პანსიონი სააღმზრდელო სასწავლო პროცესს წარმართავდა მართმადიდებლური სწავლების შესაბამისად და ამ მიზნის მისაღწევად დამატებით სავალდებულო საგნის სახით ისწავლებოდა საღვთო სჯული და ძველი დამწერლობა. ორივე საგნისთვის შემუშავებული იყო, როგორც კალენდარული, ისე საგნობრივი სასწავლო გეგმები, შეფასების რუბრიკები. დამატებით სავალდებულო საგნებში შეფასება ხდებოდა ჩათვლის სახით. სკოლას სპორტის სახეობად არჩეული ჰქონდა კალათბურთი, ფრენბურთი და მაგიდის ჩოგბურთი.

გ) სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილი იყო მოსწავლეთა შეფასების სისტემა, რომელიც შეესაბემებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შეფასების სისტემასთან.

დ) სკოლაში ფუნქციონირებდა ფერწერისა და გალობის კლუბები.
სხდომის თავმჯდომარე გრიგოლ მურღულია დაინტერესდა, თუ რას გულისხმობდა არჩევითი საგანი - გეოგრაფიული კვლევა, დაწესებულების წარმომადგენლის

განმარტებით , იგიიყო ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებული არჩევთი საგანი, რომელსაც ჰქონდა თავისი გაწერილი პროგრამა. მოსწავლეები მასწავლებლების ხელმძღვანელობით თეორიულად და პრაქტიკულად ახორციელებედნენ აღნიშნული საგნის შეწავლას.

3.3 **მატერიალურ რესურსთან მიმართებით** ექსპერტ მანანა ალიბეგაშვილის განმარტებით დაწესებულება აკმაყოფილებდა მატერალური სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ:

ა) ა(ა)იპ სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონი საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიასთან გაფორმერბული იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე (07.03.2017-მდე) ფლობდა ერთ მისამართზე არსებულ მიწის ნაკვეთს და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებს. იჯარის ხელშეკრულების ვადამდე ადრე მოშლისა და ახალი ხელშეკრულების არარსებობის გამო (რაც სკოლის განმარტებით გამოწვეული იყო გრძელვადიანი ხელშეკრულების გაფორმების მიზეზით) სკოლა ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში, არ რეგისტრირდებოდა საჯარო რეესტრში, თუმცა ამ დროისათვის ეს პრობლემა მოგვარებული იყო და დაწესებულების მხრიდან საბჭოს წინაშე წარმოადგენილი იყო შესაბამისი დოკუმენტაცია.

ბ) სკოლაში სამივე სართულზე განლაგებული იყო 12 საკლასო ოთახი, 2 საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ერთი კომპიუტერული კლასი, ბიბლიოთეკა, საკონფერენციო და სააქტო დარბაზები, დაწესებულებაში გამოყოფილი იყო ადაპტირებული ოთახი სსსმ მოსწავლეებისათვის. საკლასო ოთახები აღჭურვილი იყო თანამედროვე ინვენტარით: ინდივიდუალური (250 ერთეული) მერხებითა და სკამებით. სასკოლო დაფებით (ცარცის და მაგნიტური), წიგნების კარადებით, მასწავლებლის მაგიდებითა და სკამებით, საკონფერენციო მაგიდებით, სასწავლო პროცესის დამხმარე თვალსაჩინოებებით და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით. დაწყებითი საფეხურის ყველა კლასში, ასევე საბუნებისმეტყველო ლაბორატორიასა და სააქტო დარბაზში დამონტაჟებული იყო საპრეზენტაციო ეკრანი. სკოლის პირველ სართულზე განთავსებული იყო სატრაპეზო, ექიმისა და ფსიქოლოგის კაბინეტები და კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზი.

გ) სკოლის ლაბორატორიების აღჭურვილობები (208 დასახელება) განთავსებული იყო მეორე სართულზე ქიმია-ბიოლოგიისა და ფიზიკა-მათემატიკის კაბინეტებში. ქიმია-ბიოლოგიის კაბინეტში დამონტაჟებული იყო 2 სველი წერტილი.

3.3. **ადამიანურ რესურსთან მიმართებით** ექსპერტმა ლელა ფიცხელაურმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი:

ა) ამჟამად სკოლაში სწავლობდა 125 მოსწავლე და სკოლის საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი.

ბ) საშტატო განრიგისა და მართვის საინფორმაციო ბაზის მიხედვით, სკოლას ემსახურებოდა 56 თანამშრომელი. სკოლას ჰყავდა 20 პედაგოგი. დამატებით 14 პედაგოგი დასაქმებული იყო სააღმზრდელო მომსახურების სფეროში, საერთო ჯამში სკოლას ემსახურებოდა 34 პედაგოგი. სკოლის ადმინისტრაციულ და ტექნიკურ მომსახურებას უზრუნველყოფდა 29 თანამშრომელი: დირექტორი, 3 დირექტორის მოადგილე, 2 მოძღვარი, კანცელარიის უფროსი, იურისტი, გაზეთის რედაქტორი, საწყობის გამგე, 2 მზარეული, ბიბლიოთეკარი, ექიმი, ექთანი, ფსიქოლოგი, IT

სპეციალისტი, მნე, ექვსი უმცროსი მომსახურე პერსონალი (დამლაგებელი), 3 მანდატური, 1 დარაჯი.

გ) დაწესებულებაში დასაქმებულ ყველა მასწავლებელს გააჩნდა სქემის შესაბამისი სტატუსი, პედაგოგები გადანაწილებულები იყვნენ სქემის შესაბამისი საფეხურების მიხედვით. მხოლოდ ერთს, სპორტის მასწავლებელს არა ჰქონდა შესაბამისი კვალიფიკაცია და ისიც დარეგისტრირებული იყო გამოცდის ჩასაბარებლად.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 250 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა ა(ა)იპ - სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონის საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ იგი აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სამივე სტანდარტს. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ- სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 250-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, **ა(ა)იპ- სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონის** (ს/კ:241499703) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 250-ით.

4. შპს სკოლა-ლიცეუმი ლამპარის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტმა ნელი ნასყიდაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულება საჯარო რეესტრში დარეგისტირებული იყო 2017 წლის 22 მარტს „სკოლა-ლიცეუმი ლამპარი"-ის სახელწოდებით, ხოლო ცენტრში წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და ადგილზე შესწავლილ დოკუმენტაციაში ფიქსირდებოდა განსხვავებული სახელწოდებით, როგორც ,,შპს ლამპარი". დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, იურიდიული პირის საიდენტიფიკაციო კოდი იყო იგივე, შეცვლილი იყო მხოლოდ მისი სახელწოდება, რადგან სასკოლო თემი იყენებდა ამ სახელწოდებას. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აღნიშნული გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო გადაწყვეტილების ფორმულირების დროს.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა ნელი ნასყიდაშვილმა და ლეილა გველესიანმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები თითოეულ სტანდარტთან მიმართებით.

4.1 **საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით** ექსპერტმა ნელი ნასყიდაშვილმა აღნიშნა რომ:

ა) სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლაში გათვალისწინებული იყო ყველა სავალდებულო საგნის სწავლება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. საათობრივი ბადე აზუსტებდა სწავლების სამივე საფეხურის ყველა საგნის სწავლების გაკვეთილების განრიგს დღეებისა და კლასების მიხედვით, საგნის მასწავლებლის ვინაობის მითითებით, სასწავლო წლის ხანგრძლივობას, გაკვეთილების დაწყება-დამთავრების და გაკვეთილებს შორის დასვენებების ხანგრძლივობას, სასწავლო წლის კალენდარს სემესტრების მიხედვით, შემაჯამებელი დავალებების გრაფიკს საგნების და კლასების მიხედვით.

ბ) ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი მოსწავლეებს სთავაზობდა როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითი ფორმით მუშაობას გაკვეთილებისა და კლუბების/ ან წრეების სახით;

გ) ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების სკოლაში ისწავლებოდა შემდეგი სავალდებულო საგნები: გერმანული ენაV - VIII კლასებში, რუსული ენა III-XII კლასებში. ფაკულტატური სახით კი- რელიგიის ისტორია (III-VIII კლასებში) და ჭადრაკი(I-IV კლასებში). სკოლას ჰქონდა შესაბამისი პროგრამები და განხორციელებული მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

დ) მოსწავლის აკადემიური მოსწრების შეფასების პრინციპები მოიცავდა სკოლაში დანერგილ შეფასების მიდგომებს, საფეხურის დაძლევის და კლასიდან კლასში გადასაყვანი მინიმალური ბარიერის განსაზღვრას, შემაჯამებელი დავალებების რაოდენობას, გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის პროცედურას, სემესტრული და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების პრინციპებს, საგნობრივ კათედრებზე შემუშავებულ შეფასების სქემებს;

ე) სკოლაში შექმნილი იყო მოსწავლეთა თვითმართველობა, რომელშიც VII-XI კლასის მოსწავლეები იყვნენ გაერთიანებულები. მათთან გასაუბრებით გაირკვა, რომ ისინი გეგმავდნენ და ახორციელებდნენ სხვადასხვა მიზნობრივ (ეკოლოგიის, სპორტის, ქველმოქმედების და ა.შ.) ღონისძიებას, სადაც დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებიც იყვნენ ჩართულნი.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ მასწავლებლებს გაეწიათ რეკომენდაციები შეფასების კრიტერიუმებისა და მათი გამჭვირვალობის მექანიზმების შემუშავება/ამოქმედების სტრატეგიების, კერძოდ, განმავითარებელი შეფასების ფართოდ გამოყენების შესახებ. სკოლის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ სკოლამ გადაწყვიტა ამ მიმართულებით მუშაობის გაძლიერება.

სხდომის თავმჯდომარე გრიგოლ მურღულია დაინტერესდა დამატებითი გაკვეთილების ფორმებითა და შინაარსით.

დაწესებულების წარმომადგენელის განმარტებით, დამატებითი გაკვეთილები ეფუძნებოდა შემაჯამებელი დავალებების ანალიზს და ტარდებოდა კვირის განმავლობაში დაგროვილი მასალის და მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით.

ექსპერტმა ნელი ნასყიდაშვილმა მშობლებლებთან გასაუბრების შედეგად დაადასტურა, რომ სკოლა, საჭიროების შემთხვევაში, ყველა მოსწავლეს ეხმარებოდა შედეგების გაუმჯობესებაში.

4.2 **მატერიალურ რესურსთან მიმართებით** ექსპერტ ნელი ნასყიდაშვილის განმარტებით დაწესებულება აკმაყოფილებდა მატერალური სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ:

ა) დაწესებულება მდებარეობდა ქ. თბილისში, კალოუბნის ქ. 10-ში. სკოლა, შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიისაგან", გაფორმებული (2026 წლამდე) იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე სარგებლობდა 974. 58 კვ.მ. ფართით, რომელიც მოიცავდა შენობის მე-2 და მე-3 სართულებს.

ბ) სკოლაში იყო 13 საკლასო ოთახი, ბიბლიოთეკა, ინფორმაციული ტექნოლოგიების კაბინეტი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კაბინეტი, სამასწავლებლო, ექთნის კაბინეტი, სპორტული დარბაზი, დირექტორის კაბინეტი.

საკლასო ოთახები აღჭურვილი იყო 220 ცალი მერხით, მათ შორის იყო 164 ინდივიდუალური და 56 ორადგილიანი მერხი.

გ) საბაზო და საშუალო საფეხურებზე სპორტის სახეობებიდან სკოლას შერჩული ჰქონდა მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი და ბადმინტონი.

სპორტის გაკვეთილები ტარდებოდა შენობის მესამე სართულზე განთავსებულ სპორტულ დარბაზში, რომელიც აღჭურვილი იყო შესაბამისი სპორტული ინვენტარით: შვეიცარული კედლით, სპორტული ლეიბებით, ჩოგბურთის მაგიდებით, ტრენაჟორებით, საჭადრაკო ინვენტარით.

დ) სკოლას საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის გამოყოფილი ჰქონდა ორი ოთახი, მათგან ერთში ლაბორატორიის ტექნიკური აღჭურვილობა და ხელსაბანი იყო განთავსებული, ხოლო მეორეში ტარდებოდა გაკვეთილები შესაბამის საგნებში.

4.3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით ექსპერტმა ლეილა გველასეიანმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი:

ა) სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენდა 166. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო გარემოს შექმნას უზრუნველყოფდა 27 პედაგოგი. პედსაბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, 13 პედაგოგი ასრულებდა კლასის დამრიგებლის მოვალეობას.
სკოლის ადმინისტრაციაში შედიოდა : სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე სასწავლო - აღმზრდელობით დარგში, დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში, ხარისხის მართვის მენეჯერი, ოფის-მენეჯერი, ბუღალტერი, IT მენეჯერი. ტექნიკური პერსონალი იყო: სკოლის ექთანი, ბიბლიოთეკარი, დამლაგებელი, დღის დარაჯი. სკოლას ჰყავდა სულ 36 თანამშრომელი.

ბ) სკოლის მასწავლებლებს უდასტურდებათ კვალიფიკაცია იმ საგანში, რომელსაც ასწავლიდნენ და მათ პირად საქმეში იყო შესაბამისი დოკუმენტაცია. სკოლა ჩართული იყო მასწავლებლის პროფესიაში შესვლის, პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის სქემაში და სქემის შესაბამისად ჰყავდა 9 უფროსი, 17 პრაქტიკოსი და 1 წამყვანი მასწავლებელი.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 220 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა შპს სკოლა-ლიცეუმი ლამპარის საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ იგი აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სამივე სტანდარტს. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა-ლიცეუმი ლამპარის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 220-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს სკოლა-ლიცეუმ ლამპარს (ს/კ: 208148930) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 220-ით.

5. შპს - გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა- მათემატიკური სკოლის მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა ნინო ბალანჩივაძემ და ნინო ფეტვიაშვილი. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები თითოეულ სტანდარტთან მიმართებით. ექსპერტმა ნინო ბალანჩივაძემ აღნიშნა, რომ სკოლამ ავტორიზაცია მიიღო გასული წელს, შესაბამისად, ექსპერტების მიერ კონტინგენტის დამატების მიზნით, გადამოწმდა ძირითადად მატერიალური და ადამიანური რესურსი. თუმცა, ვიზიტისას მოხდა საგანამანთელბლო პროგრამების გადამოწმებაც (როცა საქმე შეეხო სპორტის სახეობებისა და შესაბამისი საათების გადამოწმებას). სკოლას ჯურხა ნადირაძის 26-ში მდებარე შენობაში მოსწავლეთა რაოდენობა განსაზღვრული ჰქონდა 120 მოსწავლით. ჩარგლის ქუჩა 79-ში ფართის დამატებასთან ერთად სკოლის სურვილი იყო კონტინგენტის გაზრდა, აქედან გამომდინარე ახალ დამატებულ ფართზე მოხდა რესურსების გადამოწმება.

5.1 **მატერიალურ რესურსთან მიმართებით** ექსპერტმა ნინო ბალანჩივაძემ აღნიშნა, რომ:

ა) შპს-გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკური სკოლის სარგებლობაში იყო: ქ.თბილისში, ჯურხა ნადირაძის № 26-შ მიმდებარე მიწის ნაკვეთი B და მასზედ განთავსებული სამსართულიანი შენობა-ნაგებობა, საერთო ფართით 504,09 კვ. მ. და თბილისში ჩარგლის ქუჩა, N79 ში განთავსებული მდგომი ორსართულიანი შენობა-ნაგებობა.

ბ) სკოლის ახალ ფართზე (ჩარგლის ქუჩაზე მდებარე) განთავსებულ შენობაში იყო 9 საკლასო ოთახი. თითოეული საკლასო ოთახი აღჭურვილი იყო 20-20 ინდივიდუალური მერხითა და სკამით (სულ 180 ცალი). ამასთანავე, განაყოფებისათვის განკუთვნილი იყო ორი პატარა ოთახი, სადაც განთავსებული იყო 14 ინდივიდუალური მერხი და სკამი. სკოლაში იყო 3 გასამართი საკლასო ოთახი, სადაც დასაწყობებული იყო 106 ინდივიდუალური მერხი და სკამი. სულ აღნიშნულ შენობაში განთავსებული იყო 300 ინდივიდუალური მერხი და სკამი.

გ) ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილი იყო სასკოლო დაფებითა და საჭირო თვალსაჩინოებით. საბუნებისმეტყველო და კომპიუტერულ ლაბორატორიები განთავსებული იყო საკლასო ოთახებში. ლაბორატორიულ კლასში დამონტაჟებული იყო სველი წერტილი, გამწოვის მონტაჟი კი სკოლის სტრატეგიული გეგმით იყო განსაზღვრული. რეაქტივები და აღჭურვილობა კი დაცული იყო სათავსო კარადაში, რაც უზრუნველყოფდა საბუნებისმეტყველო გაკვეთილების უსაფრთხოდ ჩატარებას.

დ) სკოლის შენობაში იყო: სპორტული გაკვეთილებისათვის განკუთვნილი ოთახი, რომელიც სხვადასხვა ღონისძიებისათვისაც გამოიყენებოდა. სამედიცინო მომსახურების ოთახი, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო და სასადილო.

ე) სპორტული გაკვეთილებისათვის განკუთვნილი ოთახში დამონტაჟებული იყო სავარჯიშო ძელი და სარკეები, განთავსებული იყო ტანვარჯიშის ლეიბები, ბურთები, კედელი, პინპონკის ორი მაგიდა, სახტუნაო რგოლები, დვირი, ჭადრაკისა და შაშის 10-10 კომპლექტი.

ვ) 2016-2017 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით ვერ დგინდებოდა, თუ სპორტის რომელი სახეობა ჰქონდა შერჩეული სკოლას საბაზო და საშუალო საფეხურზე, თუმცა გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლას საბაზო და საშუალო საფეხურზე შერჩეული ჰქონდა ფრენბურთი და ფეხბურთი. ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მოთხოვნის შესაბამისად სკოლაში შერჩული უნდა ყოფილიყო სპორტის სამი სახეობა, ამასთან ახალი ფართი ვერ იძლეოდა ფრენბურთისა და ფეხბურთის სახეობების სწავლების საშუალებას. დაწესებულებამ ცვლილება შეიტანა სასკოლო სასწავლო გეგმაში და საბაზო და საშუალო საფეხურზე სპორტის სახეობებად განისაზღვრა მაგიდის ჩოგბურთი, მხატვრული ტანვარჯიში და ჭადრაკი. სკოლამ საბჭოზე წარმოადგინა შესაბამისი პროგრამები.

ზ) სკოლაში ფუნქციონირებდა ბიბლიოთეკა, რომლის მუშაობაც რეგულირდებოდა ბიბლიოთეკის დებულებით. სკოლას ჰქონდა სასკოლო სასწავლო გეგმისა და საგნობრივი პროგრამების შესაბამისი წიგნადი ფონდი: ყველა გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს რამდენიმე ეგზემპლარი, 2166 ერთეული მხატვრული და 256 ერთეული მეთოდური ლიტერატურა. აღნიშნული რესურსი სკოლას გადაცემული ჰქონდა ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე.

თ) სკოლას ჰქონდა ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის. შენობის მთავარი შესასვლელი და შიდა კიბეები აღჭურვილი იყო ასაკეცი ხის პანდუსებით, რომლებიც ექსპერტთა ვიზიტის დროს იყო დასაწყობებული და ადმინისტრაციის განმარტებით, საჭიროებისამებრ ადვილად დამონტაჟდებოდა. სკოლაში ასევე იყო იყო ადაპტირებული სველი წერტილი.

ი) სკოლას ჰქონდა ინტერნეტში ჩართული 10 კომპიუტერი, 8 განთავსებული იყოსაკლასო ოთახში, 1-ადმინისტრაციაში, ხოლო 1-ბიბლიოთეკაში.

5.2 ადამიანურ რესურსთან მიმართებით ექსპერტმა ნინო ბალანჩივაძემ აღნიშნა, რომ ჩარგლის ქუჩაზე მდებარე დამატებით ფართზე სკოლის დირექცია 2016-2017 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელებას გეგმავდა 19 მასწავლებლის მიერ, საიდანაც 4 მასწავლებელი იყო უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე. სკოლის პედაგოგთა კვალიფიკაცია, მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შეესაბამებოდა „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა მასწავლებლების განცხადებები, დირექტორის ბრძანება მასწავლებელთა დანიშვნის შესახებ და ხელმოსაწერად გამზადებული ხელშეკრულებები. წარმოდგენილ ხელშეკრულებებში შრომის კოდექსის ყველა მოთხოვნა არ იყო გათვალისწინებული, ამიტომ დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია შრომის ხელშეკრულებები შრომის კოდექსთან შესაბამისობაში მოეყვანა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა გაეზრდა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას დამატებით ფართზე. შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 350 მოსწავლისთვის. აღნიშნულმა დისკუსია გამოიწვია საბჭოს წევრებს შორის.

სხდომის თავმჯდომარემ გრიგოლ მურღულიამ დეტალურად დათვალა დაწესებულების ორივე ფართზე განთავსებული რესურსები. აღინიშნა რომ დაწესებულებას დამატებით ფართზე ჰქონდა 10 კომპიუტერი, შესაბამისად ამ ფართზე შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ 200 მოსწავლის განთავსება.

საბჭომ იმსჯელა და დაადგინა, რომ საბურთალოზე, ჯურხა ნადირაძის 26-ში განთავსებულ სკოლის ფართისათვის განსაზღვრული იყო 120 მოსწავლე და ეს უცვლელად დარჩებოდა, ხოლო მეორე ჩარგლის 79- ში მდებარე ფართზე კი ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა უნდა განსაზღვრულიყო 200 მოსწავლით. შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა -მათემატიკური სკოლისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 320-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მესამე პუნქტისა და 34-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს - გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა- მათემატიკურ სკოლას (ს/კ:209475904) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 320-ით. მათ შორის ქ. თბილისში, ჯურხა ნადირაძის ქ. 26-ში მდებარე ფართზე 120-ით, ქ. თბილისში, ჩარგლის ქ. 79-ში მდებარე ფართზე 200-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 17:05 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

გრიგოლ მურღულია

მდივანი

თამარ ფხალაძე